

დამტკიცებულია
სს „თელასი“-ს აქციონერთა რეგარეშე საერთო კრებით
ოქმი №1
2013 წლის 28 მარტი

დებულება

სს „თელასი“-ს აქციონერთა საერთო კრების მომზადებისა და
ჩატარების წესის შესახებ

(ახალი რედაქცია)

ქ.თბილისი
2013წ.

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისა და სს „თელასი“-ს (შემდგომი „საზოგადოება“) წესდების შესაბამისად და განსაზღვრავს საზოგადოების აქციონერთა კრების მომზადებისა და ჩატარების წესს (შემდგომი - აქციონერთა საერთო კრება).
- 1.2. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.
- 1.3. საერთო კრება თავის საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

2. აქციონერთა საერთო კრების მოწვევა და მის ჩასატარებლად მომზადება

- 2.1. გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ იღებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.
- 2.2. ფინანსური წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი თვისა და არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში ტარდება საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით წყდება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, აუდიტის დამტკიცების, წლიური ანგარიშის, ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგებისა და ზარალის ანგარიშის) დამტკიცების, ასევე მოგების (მათ შორის დივიდენდების (გადახდის) გამოცხადების) და ზარალის განაწილების საკითხი ფინანსური წლის შედეგების მიხედვით. სხვა შემთხვევებში გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს, ან “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, აქციონერების მოთხოვნით ტარდება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღით ადრე და კრების მოწვევის თარიღზე გვიან.
- 2.3. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ტარდება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილზე საქართველოს ტერიტორიაზე, მის ჩატარებამდე არანაკლებ 20 დღით კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების შემდეგ. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა იყოს გამოქვეყნებული დღის წესრიგი და საზოგადოების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. შეტყობინებას კრების მოწვევის შესახებ უნდა ერთვოდეს იმ პროცედურის აღწერა, რომლის თანახმადაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში მონაწილეობის თავისი უფლება.

2.4. აქციონერთა საერთო კრების ჩატარების მომზადების მიზნით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ფორმის, თარიღის, ადგილისა და ჩატარების დროის განსაზღვრის, აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილე პირების რეგისტრაციის დაწყების დროის (აქციონერთა საერთო კრების კრების ფორმით ჩატარების შემთხვევაში) შესახებ, ან კენჭისყრის შევსებული ბიულეტენების მიღების დასრულების თარიღის და იმ საფოსტო მისამართის განსაზღვრის შესახებ, რომელზეც უნდა იქნას გაგზავნილი კენჭისყრის შევსებული ბიულეტენები (აქციონერთა საერთო კრების დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარების შემთხვევაში);
- ბ) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
- გ) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების საადრიცხვო დღის დადგენის შესახებ;
- დ) იმ ინფორმაციის (მასალების) ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელიც საზოგადოების აქციონერებს გადაეცემათ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების მოსამზადებლად, ასევე აქციონერების აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შესახებ;
- ე) საზოგადოების აქციონერების საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ ინფორმირების წესის განსაზღვრის თაობაზე, ასევე შეტყობინების ტექსტისა და ფორმის დამტკიცება;
- ვ) აქციონერთა საერთო კრებაზე კენჭისყრის ბიულეტენების ტექსტისა და ფორმის დამტკიცების შესახებ (აქციონერთა საერთო კრების დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარების შემთხვევაში);
- ზ) კენჭისყრის ბიულეტენების აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირებისთვის გაგზავნის თარიღის განსაზღვრის შესახებ (აქციონერთა საერთო კრების დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარების შემთხვევაში).

2.5. საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო უწევს ორგანიზებას აქციონერთა საერთო კრების საზოგადოების ჩატარებასთან დაკავშირებული სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას, მათ შორის:

- უზრუნველყოფს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი თარიღისთვის აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების სიის შედგენის შესახებ მოთხოვნის დროულ გაგზავნას;
- უზრუნველყოფს ბიულეტენების დამზადებას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმითა და ტექსტით (აქციონერთა საერთო კრების დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარების შემთხვევაში);
- უზრუნველყოფს კენჭისყრის ბიულეტენების აქციონერებისთვის გაგზავნას

- და შევსებული კენჭისყრის ბიულეტენების მიღებას (აქციონერთა საერთო კრების დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარების შემთხვევაში);
- უზრუნველყოფს აქციონერების ინფორმირებას აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და წესდებით დადგენილი წესითა და ვადებში;
 - უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებული საჭირო მასალების (ინფორმაციის) მომზადებას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად;
 - უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრებაზე ნოტარიუსის დასწრებას;
 - ასრულებს სხვა ქმედებებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესასრულებლად და აქციონერთა საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

3. აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების თავისებურებები

- 3.1. საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ტარება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით მისი ინიციატივის საფუძველზე, აზოგადოების გენერალური დირექტორის, აუდიტორის, ასევე იმ აქციონერების ან აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნით, რომლებიც ფლობენ ნებისმიერი კლასის აქციების 5 (ხუთ) პროცენტს.

4. აქციონერთა საერთო კრების ჩატარების საინფორმაციო უზრუნველყოფა

- 4.1. შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ და აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალები, საზოგადოების აქციონერებისთვის მიწოდების სხვა საშუალებების გარდა, უნდა იყოს განთავებული ინტერნეტში საზოგადოების ვებ-გვერდზე, საზოგადოების წესდებით დადგენილ ვადაში.
რეკომენდებულია ასევე აღნიშნული შეტყობინებისა და მასალების გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე.
- 4.2. აქციონერთა საერთო კრების ოქმი უნდა იყოს გამოქვეყნებული ინტერნეტში საზოგადოების ვებ-გვერდზე, მისი შედგენიდან არა უგვიანეს ათი დღის ვადაში.
- 4.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში კანდიდატების წარდგენისას, საზოგადოების აქციონერები წარადგენენ კანდიდატების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:
- 4.3.1. სახელი, მამის სახელი, გვარი;
 - 4.3.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები (დოკუმენტის სერია და (ან) ნომერი, გაცემის თარიღი და ადგილი, გამცემი ორგანო);
 - 4.3.3. მოქალაქეობა;
 - 4.3.4. საცხოვრებელი ადგილი (სახელმწიფო, ქალაქი);

- 4.3.5. განათლება;
 - 4.3.6. პროფესია;
 - 4.3.7. ძირითადი სამუშაო ადგილი;
 - 4.3.8. ინფორმაცია სამუშაო სტაჟის შესახებ წარდგენამდე ხუთი წლის მანძილზე;
 - 4.3.9. ინფორმაცია საზოგადოების აქციების ფლობის შესახებ (კუთვნილი აქციების რაოდენობა);
 - 4.3.10. არის თუ არა სხვა იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, კოლეგიუალური აღმასრულებელი ორგანოს წევრი ან სხვა კოლეგიური ორგანოს წევრი;
 - 4.3.11. არის თუ არა სხვა სამეურნეო საზოგადოების თანამდებობის პირი, რომლის თანამდებობის პირიც ასევე წარდგენილია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კანდიდატის სახით;
 - 4.3.12. არის თუ არა ვალდებულებების მხარე საზოგადოებასთან, რომელთა პირობების შესაბამისად კანდიდატს შეუძლია შეიძინოს ქონება (მიიღოს ფულადი სახსრები), რომლის ღირებულება შეადგენს კანდიდატის საერთო წლიური შემოსავლის ათ ან მეტ პროცენტს, გარდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობისთვის მიღებული გასამრჯელოს გარდა.
- 4.4. წინამდებარე დებულების 4.3.3-4.3.12 პუნქტებში მითითებული ინფორმაციის წარდგენას საზოგადოების აქციონერების მიერ გააჩნია რეკომენდაციის ხასიათი. დაუშვებელია საზოგადოების აქციონერების მიერ ასეთი ინფორმაციის წარუდგენლობა გახდენს შესაბამისი კანდიდატის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევი კენჭისყრის სიაში შეტანაზე უარის საფუძველი.
- 4.5. ინფორმაცია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში კანდიდატების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოების ყველა აქციონერის მიერ გაცნობისთვის, საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებულ სხვა საინფორმაციო მასალებთან ერთად.

**5. აქციონერთა საერთო კრების ჩატარება კრების ფორმით
(ერთობლივი დასწრება)**

აქციონერთა საერთო კრების ჩატარება ერთობლივი დასწრების ფორმით მდგომარეობს საზოგადოების აქციონერების უშუალო მონაწილეობაში აქციონერთა საერთო კრებაში დღის წესრიგის საკითხებზე მსჯელობისა და კენჭისყრაზე გამოტანილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

5.1 აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების რეგისტრაცია

5.1.1. აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების რეგისტრაციას ახორციელებს საზოგადოების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, რომელიც ესწრება აქციონერთა საერთო კრებას, კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ადგილის მიხედვით.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების რეგისტრაცია იწყება კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ დროს.

5.1.2. რეგისტრაციას კრების (ერთობლივი დასწრების) ფორმით ჩატარებული აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიზნით ექვემდებარებიან პირები, რომლებსაც აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა საერთო კრებაში.

5.1.3. რეგისტრაციის დროს აქციონერი (მისი წარმომადგენელი, სამართალმემკვიდრე), რომელიც გამოცხადდა აქციონერთა საერთო კრებაზე, წარადგენს პასსპორტს ან პირადობის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტს.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების სიაში ჩართული პირების წარმომადგენლები, ასევე სამართალმემკვიდრეები აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციის დროს წარუდგენენ საზოგადოების რეგისტრატორს მათი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს შესამოწმებლად.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების სიაში ჩართული პირების წარმომადგენლებისა და სამართალმემკვიდრეების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული დოკუმენტების წარუდგენლობის შემტხვევაში აქციონერის წარმომადგენელს, ასევე სამართალმემკვიდრეს არ ექნება აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.

5.1.4. აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების რეგისტრაცია ხორციელდება აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირების იდენტიფიცირების პრობით აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების სიაში აღნიშნული მონაცემების აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მონაცემებთან შედარების გზით.

5.1.5. აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების რეგისტრაცია სრულდება აქციონერთა საერთო კრების ჩატარების დაწყების დროის დადგომისას, რომელიც მითითებულია შეტყობინებაში აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ.

5.2 აქციონერთა საერთო კრების გახსნა

- 5.2.1. აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე, იმ დროს, რომელიც აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების თანახმად მიჩნეულია აქციონერთა საერთო კრების დაწყების დროდ, აცხადებს აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით კვორუმი არსებობის ან არარსებობის შესახებ.
- 5.2.2. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია (კვორუმი შედგა), თუ მასში მონაწილეობენ აქციონერები, რომლებსაც საერთო ჯამში საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტი აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი შეიცავს საკითხებს, რომელთა კენჭისყრა კენჭისყრის მონაწილეთა სხვადასხვა შემადგენლობით ხორციელდება, ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად კვორუმის განსაზღვრა ცალკე ხორციელდება. ამავე დროს, კვორუმის არარსებობა გადაწყვეტილების მისაღებად იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ხმის მიმცემთა ერთი შემადგენლობა უყრის კენჭს, ხელს არ უშლის გადაწყვეტილების მიღებას ისეთ საკითხებზე, რომლებსაც კენჭს უყრის ხმის მიმცემთა მეორე შემადგენლობა, და კვორუმიც არსებობს.
- 5.2.3. თუ კვორუმი არსებობს თუნდაც ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აცხადებს აქციონერთა საერთო კრების გახსნის შესახებ.
- 5.2.4. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა საერთო კრების დაწყების დროისთვის კვორუმი არ არსებობს დღის წესრიგში შეტანილ არც ერთ საკითხთან დაკავშირებით, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აცხადებს აქციონერთა საერთო კრების გახსნის გადატანის შესახებ 30 (ოცდაათი) წუთით. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა საერთო კრების გახსნის გადატანის შემდეგ განცხადებიდან 30 (ოცდაათი) წუთის მანძილზე მოხდა იმ პირთა რეგისტრაცია, რომლებიც კვორუმს უზრუნველყოფენ თუნდაც ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აცხადებს აქციონერთა საერთო კრების გახსნის შესახებ. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარებისთვის საჭირო კვორუმის არარსებობის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში, მოქვეული იქნება განმეორებითი აქციონერთა საერთო კრება იმავე დღის წესრიგით, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონითა და იმ საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მასში მონაწილეობას მიიღებენ საერთო ჯამში საზოგადოების ხმის უფლების

აქციების მქონე ხმების არანაკლებ 25%. თუ განმეორებითი აქციონერთა საერთო კრების კვლავ არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები კვორუმის არარსებობის გამო, მაშინ აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში მოწვეული იქნება ახალი აქციონერთა საერთო კრება იმავე დღის წესრიგით “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონითა და იმ საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მიუხედავად მასში მონაწილე ხმის უფლების მქონე აქციონერების რაოდენობისა.

5.3 აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხების განხილვა

- 5.3.1. პირებმა, რომლებიც აქციონერთა საერთო კრებაზე გამოდიან, უნდა დაიცვან გამოსვლის შემდეგი რეგლამენტი:
მოხსენება დღის წესრიგის პუნქტების შესახებ – 30 წუთამდე;
თანამოხსენება – 20 წუთამდე;
კამათში მონაწილეობა – 5 წუთი;
გამოსვლა შეკითხვებით, ცნობები – 2 წუთამდე.
- 5.3.2. აქციონერთა საერთო კრების მდივანი აქციონერებისაგან შემოსულ განცხადებებს და შეკითხვებს გადასცემს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარეს.
იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა საერთო კრების გახსნის მომენტისათვის კვორუმი იყო მხოლოდ დღის წესრიგის რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხებიდან უკანასკნელის განხილვის დამთავრების შემდეგ, რეგისტრატორი აცხადებს კვორუმის არსებობის ან არარსებობის შესახებ დღის წესრიგის სხვა საკითხებთან დაკავშირებით.
- 5.3.3. აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის ყველა იმ საკითხის განხილვის დამთავრების შემთხვევაში, რომლებთან დაკავშირებითაც კვორუმი იყო, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგის საკითხების განხილვის დამთავრების შესახებ.

5.4 კენჭისყრა აქციონერთა საერთო კრებაზე

- 5.4.1. კენჭისყრა აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც ტარდება ერთობლივი დასწრების ფორმით, ხორციელდება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული-სამართლებრივი აქტებით, საზოგადოების წესდებითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.
- 5.4.2. პირებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობისათვის, რომელიც ტარდება ერთობლივი დასწრების ფორმით, უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით აქციონერთა საერთო კრების გახსნის მომენტიდან ხმების დათვლის მომენტის დაწყებამდე.

- 5.4.3. აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის ბოლო საკითხის განხილვის დამთავრების შემდეგ (ბოლო საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც კვორუმი შედგა) იმ პირებს, რომლებსაც მანამდე არ მიუღიათ მონაწილეობა კენჭისყრაში ამ მომენტამდე, ეძლევათ 30 (ოცდაათი) წუთი კენჭისყრისთვის.
- 5.4.4. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აცხადებს ხმების საბოლოო დათვლის შესახებ.

5.5 აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებული კენჭისყრის შედეგების დაჯამება და გამოცხადება. აქციონერთა საერთო კრების დახურვა

- 5.5.1. აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებული კენჭისყრის შედეგების დაჯამებას ახდენს დამოუკიდებელი რეგისტრატორი.
- 5.5.2. კენჭისყრის შედეგები და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გამოცხადებულ იქნეს აქციონერთა საერთო კრებაზე.
- 5.5.3. იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შედეგები და აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გამოაცხადეს აქციონერთა საერთო კრებაზე, აქციონერთა საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღის შემდეგ იმ პირებს, რომლებიც შეტანილი არიან აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირების სიაში, უნდა ეცნობოს აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოების წესდები აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებისთვის.
- 5.5.4. აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებზე კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ შედეგები გამოცხადებულია აქციონერთა საერთო კრებაზე, თავმჯდომარე აცხადებს აქციონერთა საერთო კრების დახურვის შესახებ.

6. საერთო კრების ჩატარება დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით

- 6.1. კენჭისყრა დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარებულ აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ხორციელდება კენჭისყრის ბიულეტენების მეშვეობით. დღის წესრიგის საკითხების ბიულეტენები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, უნდა იყოს დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.2. კენჭისყრის შევსებული ბიულეტენები უნდა შემოვიდეს საზოგადოებაში არაუგვიანეს იმ დღისა, რომელიც არის ბიულეტენის მიღების დასრულების დღე, კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად მიღებული

აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების თანახმად.

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შევსებული ბიულეტენების მიღების დასრულების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ კენჭისყრის შევსებული ბიულეტენების მიღების დასრულების დღე იქნება მისი შემდეგი დღე.

კენჭისყრის ბიულეტენების მიღების ვადა იწურება კენჭისყრის შევსებული ბიულეტენების მიღების დასრულების დღე იმ დროს, როცა საზოგადოებაში სრულდება სამუშაო დღე დადგენილი წესების შესაბამისად.

კენჭისყრის შევსებული ბიულეტენების შეიძლება გაიგზავნოს საზოგადოებაში დაზღვეული წერილით, გადაეცეს ხელმოწერით იმ პირს, რომელიც ასრულებს საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას და რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საზოგადოების მისამართით გამოგზავნილი კორესპონდენცია, ასევე საზოგადოების დამოუკიდებელ რეგისტრატორს.

- 6.4. პირს, რომელიც ასრულებს საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას, უწევს ორგანიზებას კენჭისყრის შევსებული ბიულეტენების შეგროვებას, შენახვასა და გადაცემას ნოტარიუსისთვის ან საზოგადოების საერთო კრების მდივნის ფუნქციის განმახორციელებელ სხვა პირს.
- 6.5. აქციონერი – ფიზიკური პირი ბიულეტენის შევსებისას მიუთითებს თავის სახელს, გვარს და პირად ნომერს, აქციონერი – იურიდიული პირი მიუთითებს იურიდიული პირის სრულ საფირმო დასახელებას, საიდენტიფიკაციო კოდს.
- 6.6. აქციონერი – ფიზიკური პირის წარმომადგენელი ბიულეტენის შევსებისას მიუთითებს თავის გვარსა და ინიციალს, ასევე მინდობილობის (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის) რეკვიზიტებს; აქციონერი – იურიდიული პირის წარმომადგენელი მიუთითებს თავის გვარსა და ინიციალს, ასევე თანამდებობასა და მინდობილობის (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის) რეკვიზიტებს.
- 6.7. აქციონერის წარმომადგენელი კენჭისყრის ბიულეტენს ურთავს მინდობილობას (მის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს) ან სხვა დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ის მოქმედებს.
- 6.8. დაუსწრებელი კენჭისყრის ფორმით ჩატარებული აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია (კვორუმი შედგა), თუ არაუგვიანეს კენჭისყრის ბიულეტენების მიღების დასრულების თარიღისა, საზოგადოების მიერ მიღებულია იმ აქციონერები ბიულეტენები, რომლებიც ერთობლივად ფლობენ საზოგადოების ხმის უფლების მქონე განთავსებული აქციების ხმების ნახევარზე მეტს. იმ გარიგების მოწონების შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისთვის, რომლის შესრულებაშიც არსებობს დაინტერესება, კვორუმს შეადგენენ აქციონერები – საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული გარიგების დადებაში და რომლებიც ფლობენ საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი

აქციონერების ხმების ნახევარზე მეტს, რომლებიც არ არიან დაინტერესებული გარიგების დადებაში.

7. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების სამუშაო ორგანოები

- 7.1 აქციონერთა საერთო კრების სამუშაო ორგანოებია:
- ა) აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე;
 - ბ) დამოუკიდებელი რეგისტრატორი;
 - გ) აქციონერთა საერთო კრების მდივანი;
 - დ) ნოტარიუსი.
- 7.2. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მჯისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარი მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – გენერალური დირექტორი. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას.
- 7.3. აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე ხსნის და ხურავს აქციონერთა საერთო კრებას, აცხადებს აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგს და გამოსვლების და მოხსენებების რიგითობას დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, დღის წესრიგის საკითხების განხილვის დამთავრებია და ხმების დათვლის დაწვებას, უზრუნველყოფს წინამდებარე დებულებით დადგენილი აქციონერთა საერთო კრების ჩატარების წესის დაცვას, ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების ოქმს.
- 7.4. დამოუკიდებელი რეგისტრატორი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
- ა) აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილე პირების (აქციონერების, მათი წარმომადგენლებისა და სამართალმემკვიდრეების) რეგისტრაცია და მათი უფლებამოსილების შემოწება;
 - ბ) სააღრიცხვო დღისათვის აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მირების უფლების მქონე პირთა სიის შედგენა;
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებითა და საზოგადოების მიერ საზოგადოების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.
- 7.5. აქციონერთა საერთო კრების მდივნის ფუნქციებს ახორციელებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი.
- 7.6. აქციონერთა საერთო კრების მდივანი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
- ა) აქციონერთა საერთო კრების მონაწილეთა განცხადებების მიღება მათთვის კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით დავაში მონაწილეობის უფლების მინიჭების შესახებ, ასევე საკითხების მიღება;
 - ბ) აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარისთვის აქციონერებისაგან მიღებული განცხადებებისა და შეკითხვების გადაცემა;

გ) საზოგადოების წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

7.7. აქციონერთა საერთო კრებას ესწრება ნოტარიუსი, რომელსაც იწვევს საზოგადოების გენერალური დირექტორი. აქციონერთა საერთო კრებაზე ნოტარიუსი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ა) აქციონერთა საერთო კრების მონაწილე პირებისა (აქციონერების, მათი წარმომადგენლებისა და სამართალმემკვიდრეების) და საერთო კრების ოქმის ხელმოწერი პირების უფლებამოსილების შემოწმება და დადასტურება;
- ბ) აქციონერთა საერთო კრების კვორუმის არსებობა;
- გ) საზოგადოების აქციონერების (აქციონერების, მათი წარმომადგენლებისა და სამართალმემკვიდრეების) მიერ საერთო კრებაზე მათი ხმის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებზე განმარტებების მიცემა;
- დ) კენჭისყრაზე გამოტანილ საკითხებზე კენჭისყრის წესის განმარტება;
- ე) კენჭისყრის დადგენილი წესისა და საზოგადოების აქციონერების კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა
- ვ) ხმების დათვლა და კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- ზ) აქციონერთა საერთო კრების ჩატარების კონტროლი;
- თ) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის შედგენა;
- ი) აქციონერთა საერთო კრების ოქმის ნოტარიული დამოწმება.

8. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ფინანსური უზრუნველყოფა

- 8.1. აქციონერთა საერთო კრების მომზადებისა და ჩატარების ხარჯებს გაიღებს საზოგადოება და ისინი გათვალისწინებულია საზოგადოების ბიუჯეტში.
- 8.2. საზოგადოების გენერალური დირექტორი საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით წარუდგენს მას ანგარიშს აქციონერთა საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებისთვის საჭირო სახსრების განკარგვის შესახებ არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს ამგვარი მოთხოვნიდან.

9. დასკვნითი დებულებები

- 9.1. თუ საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შეცვლის შედეგად წინამდებარე დებულების ცალკეული მუხლები მათთან წინააღმდეგობაში მოექცევა, ეს მუხლები ძალას კარგავს და წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანამდე საზოგადოება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტები.